

წყლის რესურსების მართვა გამონკვევები წყლის ჩარჩო დირექტივასთან მიმართებაში

ეს საჯარო პოლიტიკის ნარკვევი ერთ-ერთი მწვანე ალტერნატივას მიერ მომზადებული ანალიტიკური ნაშრომებიდან, რომლებიც ქვეყნის მდგრადი განვითარებისთვის აქტუალურ საკითხებს ეხება. მისი მიზანია წამოიწიოს საჯარო პოლიტიკის კონკრეტულ სფეროში გადაუდებლად გადასაჭრელი საკითხები და ხელი შეუწყოს დისკუსიას ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური და სოციალური განვითარებისა და გარემოსდაცვითი მიზნების ჰარმონიულად მიღწევის გზებზე.

წარმოდგენილი ნარკვევი განკუთვნილია იმ ორგანიზაციებისა და პირებისთვის, რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებებს საქართველოს საჯარო პოლიტიკისა და მმართველობის საკითხებზე. ნაშრომი, ასევე, სასარგებლო იქნება მათთვის, ვინც ცდილობს ზეგავლენა მოახდინოს საქართველოს საჯარო პოლიტიკაზე, მისი გაუმჯობესების მიზნით.

1. შესავალი

2014 წლის 27 ივნისს საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას და საფუძველი ჩაუყარა თანამშრომლობის ახალ სამართლებრივ ჩარჩოს. ხელმოწერილი ხელშეკრულებით საქართველომ აიღო ვალდებულება, რომ კონკრეტულ ვადებში უზრუნველყოფს რეფორმებს სხვადასხვა სფეროებში, მათ შორის, წყლის რესურსების მართვის სფეროშიც, რომლის თანახმადაც უნდა შეიცვალოს მართვის არსებული ცენტრალიზებული სისტემა წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის სისტემით.

საქართველოს მიერ წყლის სექტორში გასატარებელი ღონისძიებებიდან, აღნიშვნის ღირსია, მდინარის სააუზო მართვის გეგმებზე გადასვლის ვალდებულება, რომელიც წყლის ჩარჩო დირექტივის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოთხოვნას წარმოადგენს. ხელშეკრულებით სააუზო მართვის გეგმებზე სრულად გადასასვლელად განსაზღვრულია 10 წელიწადი, თუმცა საკითხის კომპლექსურობიდან გამომდინარე (შესაბამისი საკანონმდებლო ბაზისა და წყლის ობიექტებზე მონიტორინგის სისტემის ფაქტობრივად არარსებობა, საზოგადოების ინფორმირებისა და მონაწილეობის უზრუნველყოფის არასრულფასოვანი სისტემა და სხვ). უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ დღესვე დაიწყო არსებითი ნაბიჯების გადადგმა ამ მიმართულებით.

მისასალმებელია, რომ ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ ამ კუთხით დაიწყო მუშაობა: მომზადდა წყლის რესურსების მართვის შესახებ კანონპროექტი¹, გაფართოვდა ზედაპირული წყლების ხარისხის მონიტორინგის ქსელი² და დაიწყო წყლის ხარისხის ჰიდრობიოლოგიური და ჰიდრომორფოლოგიური მონიტორინგი. გარდა ამისა სამინისტრომ შეიმუშავა საგზაო რუკა³ წყლის რესურსების მართვის კუთხით და განსაზღვრა მთელი რიგი ქმედებები⁴.

საგზაო რუკის მიხედვით, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქმედება დაკავშირებულია მდ. ჭოროხი-აჭარისწყლის სააუზო მართვის პილოტური გეგმის შემუშავებასთან, რომელიც მომზადდა ევროკავშირის დაფინანსებული პროექტის ფარგლებში. ქვეყანაში ჰიდრორესურსების ათვისების მდგომარეობის გათვალისწინებით, აღნიშნული გეგმის შინაარსობრივად სრულფასოვანი მომზადება უაღრესად მნიშვნელოვანია.

წარმოდგენილი ნარკვევის მიზანია, განვსაზღვროთ, მდ. ჭოროხი-აჭარისწყლის სააუზო მართვის პილოტური გეგმა მომზადებულია, თუ არა ევროკავშირის წყლის ჩარჩო დირექტივის მოთხოვნების შესაბამისად და რამდენად პასუხობს ის ქვეყანაში არსებულ გამოწვევებს⁵.

¹ მართალია კანონპროექტის დამტკიცება იგეგმებოდა 2015 წელს თუმცა დღემდე მისი დამტკიცება არ მომხდარა; გვ.10; http://moe.gov.ge/files/PDF%20%20qartuli/Angarishi/angarishi_saboloo.pdf

² სახელმძღვანელო დოკუმენტი საქართველოში ზედაპირული წყლის ობიექტების დელინეაციის, რეფერენსული მდგომარეობის და კლასიფიკაციის სისტემების შესახებ; USAID; გვ 15; „გარემოს ეროვნულმა სააგენტომ უკვე დაიწყო 140-ზე მეტი სინჯის აღების წერტილის მონიტორინგი“;

³ სულ შემუშავდა 9 საგზაო რუკა გარემოს დაცვისა და კლიმატთან დაკავშირებული ქმედებების ნაწილში; http://moe.gov.ge/files/news_img/2015/ivnisi/sagzao_ruka/AA-DCFTA_Roadmap_GEO.pdf

⁴ სულ 27 საქმიანობა; გვ. 12; http://moe.gov.ge/files/news_img/2015/ivnisi/sagzao_ruka/AA-DCFTA_Roadmap_GEO.pdf

⁵ ნარკვევის მომზადებისას გამოყენებულ იქნა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაცია სამინისტროს მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ წყლის რესურსების მართვის სფეროში, გაანალიზდა წყლის სექტორში ასოცირების ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებები, მდ. ჭოროხი-აჭარისწყლის სააუზო მართვის პილოტური გეგმა, ევროკავშირის წყლის ჩარჩო დირექტივა და მის შესასრულებლად შემუშავებული სხვადასხვა სახელმძღვანელო დოკუმენტი.

2. ევროკავშირის წყლის ჩარჩო დირექტივა

ევროკავშირის წყლის ჩარჩო დირექტივა ოფიციალურად 2000 წლის 22 დეკემბერს შევიდა ძალაში და წარმოადგენს წყლის რესურსების დაცვის მიზნით შექმნილ უმნიშვნელოვანეს საკანონმდებლო დოკუმენტს. დირექტივის მთავარ დანიშნულებას წყლის რესურსების სათანადო ხარისხის უზრუნველყოფა და დაცვა წარმოადგენს, რომელიც სააუზო მართვის პრინციპს ეფუძნება⁶.

დირექტივაში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული მიზნები ევროკავშირის ტერიტორიაზე არსებულ წყლის ყველა კატეგორიისთვის (მდინარეები, ტბები, მიწისქვეშა წყლები, ტრანს-სასაზღვრო ან ტერიტორიული წყლები) და მისი შესრულება სავალდებულოა ყველა წევრი ქვეყნისთვის. დირექტივის⁷ მიხედვით, ქვეყნები ვალდებული არიან, უზრუნველყონ:

- ქვეყანაში არსებული წყლის ყველა კატეგორიისათვის „კარგი სტატუსი“⁸ 2015 წლისთვის; და
- წყლის რესურსების რაციონალური გამოყენება ევროპის მასშტაბით;

დირექტივის მიზნების მისაღწევად, წევრი ქვეყნებისთვის განისაზღვრა სამსაფეხურიანი დაგეგმვის პროცესი⁹:

1. პირველ ეტაპზე უნდა განხორციელდეს არსებული წყლის რესურსების დაყოფა სააუზო უბნებად¹⁰ და მათი წინასწარი შეფასება გეოგრაფიულ, ჰიდროლოგიურ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით. აღნიშნული პროცესის შემდგომ, სააუზო უბნებში უნდა მოხდეს წყლის ობიექტების დაყოფა „საფრთხის ქვეშ მყოფ“¹¹, „შესაძლო საფრთხის ქვეშ მყოფ“¹² და „უსაფრთხო“ კატეგორიებად¹³;

2. მეორე ეტაპით უნდა შეიქმნას წყლის ჩარჩო დირექტივასთან თავსებადი მონიტორინგის ქსელი, ხოლო მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით, უნდა განხორციელდეს წყლის ყველა კატეგორიის დაყოფა წყლის ობიექტებად და მათთვის სტატუსების მინიჭება ბიოლოგიური, ფიზიკურ-ქიმიური და მორფოლოგიური მონაცემების საფუძველზე. დირექტივის თანახმად, წყლის ობიექტს შესაძლოა მიენიჭოს მაღალი, კარგი, საშუალო, ცუდი და ძალიან ცუდი ეკოლოგიური სტატუსი¹⁴;

3. ბოლო ეტაპზე, სახელმწიფო ვალდებულია მოამზადოს ყველა მდინარის აუზისათვის “მდინარის სააუზო მართვის გეგმა” შესაბამისი ღონისძიებებისა და პროგრამების ჩათვლით, რომელიც მიზნად ისახავს წყლის ყველა ობიექტისთვის გარემოსდაცვითი მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრას, რათა მიღწეულ იქნეს კარგი ეკოლოგიური სტატუსი ან კარგი ეკოლოგიური პოტენციალი (ძლიერ მოდიფიცირებული ან ხელოვნურად სახეცვლილი წყლის ობიექტებისათვის).

ამასთან, მდინარის სააუზო მართვის გეგმის **საბოლოო ვერსიის დამტკიცებამდე და მისი ევროკომისიისთვის წარდგენამდე, წევრი სახელმწიფოს ვალდებულებას წარმოადგენს ინფორმაციის დროული გავრცელების უზრუნველყოფა და განხილვის პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის ჩართვა.**

მდინარის სააუზო მართვის გეგმა თავისი არსით წარმოადგენს ანგარიშს, სადაც დეტალურად უნდა იყოს განვლილი ყველა ის ღონისძიება და პროგრამა, რომელთა განხორციელების შედეგად, მიღწეულ იქნება აუზში შემავალი წყლის ყველა ობიექტისთვის წინასწარ განსაზღვრული გარემოსდაცვითი მიზნები.

ცხადია, რომ საქართველოში, არსებული ჰიდროპოტენციალის ინტენსიური ათვისების ფონზე, წყლის რესურსების

⁶ http://ec.europa.eu/environment/water/water-framework/index_en.html

⁷ http://ec.europa.eu/environment/water/water-framework/objectives/index_en.htm

⁸ ევროკავშირის წყლის ჩარჩო დირექტივის მიხედვით, კარგ სტატუსში იგულისხმება როგორც „კარგი ეკოლოგიური სტატუსი“, ისე „კარგი ქიმიური სტატუსი“. მათი განსაზღვრა კი ხდება ე.წ. „ინტერკალიბრაციული მეთოდით“, რათა გამოირიცხოს დირექტივით განსაზღვრული მიზნების სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციები (დანართი 5, ქვეთავი 1.4.1); http://ec.europa.eu/environment/water/water-framework/objectives/status_en.htm

⁹ <http://goo.gl/cLahBq>

¹⁰ წყლის ჩარჩო დირექტივის II დანართში მოცემული ტექნიკური სპეციფიკაციების შესაბამისად; http://eur-lex.europa.eu/resource.html?uri=cellar:5c835afb-2ec6-4577-bdf8-756d3d694eeb.0004.02/DOC_1&format=PDF

¹¹ „საფრთხის ქვეშ მყოფ“ კატეგორიაში იგულისხმება ისეთი წყლის ობიექტი, რომელმაც განიცადა ეკოლოგიური ხარისხის მნიშვნელოვანი ცვლილება ანთროპოგენური ზემოქმედების შედეგად;

¹² „შესაძლო საფრთხის ქვეშ“ მყოფ კატეგორიაში იგულისხმება ისეთი წყლის ობიექტი, რომელმაც ანთროპოგენური ზემოქმედების შედეგად გამოწვეული ცვლილებების დონის დასადგენად საჭირო ინფორმაცია არ მოიპოვება;

¹³ უსაფრთხო კატეგორიის მიეკუთვნება წყლის ობიექტი, რომელსაც არ განუცდია ან მცირედით განიცადა ეკოლოგიური ხარისხის ცვლილება;

¹⁴ https://www.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/485389/LIT_5769_ed4e2b.pdf

სააუზო მართვის გეგმებზე გადასვლა უაღრესად მნიშვნელოვანია, რათა უზრუნველყოფილ იქნეს წყლის რესურსების მდგრადი გამოყენება და ბიომრავალფეროვნების დაცვა/აღდგენა. შესაბამისად, მდ. ჭოროხი-აჭარისწყლის სააუზო მართვის პილოტური გეგმის დირექტივის მოთხოვნების შესაბამისად სრულფასოვან მომზადებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

3. მდ. ჭოროხი-აჭარისწყლის სააუზო მართვის პილოტური გეგმა

მდ. ჭოროხი-აჭარისწყლის სააუზო მართვის პილოტური გეგმის სამუშაო ვერსია მომზადდა „კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრის“ (RECC) და კომპანია გრინტექსის ერთობლივი ძალისხმევით, ევროკავშირის პროექტის „საერთაშორისო მდინარეების აუზების გარემოსდაცვითი პროგრამის“ (EPIRBP) ფარგლებში.

გეგმის თანახმად, მდ. ჭოროხი-აჭარისწყლის აუზი, მისი ზედაპირული, მიწისქვეშა და სანაპირო წყლებით, ჩაითვალა „სააუზო ტერიტორიულ ერთეულად“, რომლის ფარგლებშიც დაიგეგმა წყლის რესურსების ეკოლოგიური და ქიმიური მდგომარეობის კვლევა, შესაბამისი გარემოსდაცვითი ამოცანების დასახვა, სამოქმედო გეგმის შემუშავება, მისი განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება.

აღნიშნული გეგმის გრძელვადიან მიზანს წარმოადგენს მდ. ჭოროხი-აჭარისწყლის აუზის ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების დაცვა იმ რისკებისაგან, რომლებიც საფრთხეს უქმნის მათ ეკოლოგიურ სტატუსს, რისკ-ფაქტორების შემცირებისა და/ან სადაც შესაძლებელია აღმოფხვრის გზით.

გეგმაში ძირითადი აქცენტი სამრეწველო და ურბანული ჩამდინარე წყლებით ზედაპირული წყლის ობიექტების დაბინძურებაზე, მუნიციპალურ ნარჩენებსა და ქვიშა-ხრემის მოპოვებაზე კეთდება. შესაბამისად, აღნიშნული წყაროებიდან დაბინძურების შესამცირებლად გეგმაში განსაზღვრულია როგორც სტრუქტურული და სადემონსტრაციო (მაგ. სადრენაჟე სისტემის აღდგენა, ფეკალური მასების ავტონომიური გამწმენდი სისტემების დამონტაჟება), ისე არასტრუქტურული ღონისძიებები (საკანონმდებლო-მარეგულირებელი და კანონდარსულების ღონისძიებების გაუმჯობესება). ერთადერთი ჰიდროელექტროსადგური რომლისთვისაც გეგმაში განისაზღვრა გარემოსდაცვითი მიზანი და შესაბამისი ამოცანები არის მდ. აჭარისწყალზე უკვე არსებული 16 მგვტ სიმძლავრის ანჰესი. გეგმის თანახმად, ჰესისთვის უნდა მოხდეს ეკოლოგიური ხარჯის განსაზღვრა და თევზსავალის მონყოლა.

იმის გათვალისწინებით, რომ მდ. ჭოროხი-აჭარისწყლის აუზის საქართველოს მონაკვეთზე დღეის მდგომარეობით სამშენებლო სამუშაოები დაგეგმილია ან მიმდინარეობს 8 საშუალო და დიდი ზომის ჰიდროელექტროსადგურზე (ჰესი)¹⁵, ნათელია, რომ საპილოტე აუზისთვის მთავარ საფრთხეს სწორედ აღნიშნული ობიექტები წარმოადგენენ. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მდ. ჭოროხი-აჭარისწყლის აუზის საქართველოს მონაკვეთზე ჰესების მშენებლობის პარალელურად აქტიურად მიმდინარეობს დამატებით 8 ჰესის მშენებლობა მდ. ჭოროხის თურქულ მონაკვეთზე¹⁶, რაც დამატებით საფრთხეს წარმოადგენს საპილოტე აუზისათვის.

შესაბამისად, წარმოდგენილი პილოტური გეგმის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი უნდა ყოფილიყო საპილოტე აუზში მიმდინარე და დაგეგმილი ჰიდროპროექტები და მათთვის უნდა განსაზღვრულიყო პირველ რიგში გარემოსდაცვითი მიზნები და ამოცანები.

სამწუხაროდ, სააუზო მართვის გეგმაში აღნიშნული ობიექტები განხილულ იქნა გამონაკლისებად. იმ ფონზე, როდესაც გეგმაში ზემოთაღნიშნული ობიექტები დასახელებულია „მნიშვნელოვან ხელისშემშლელ ფაქტორად საპილოტე აუზში კარგი სტატუსის მიღწევისთვის“¹⁷, მათთვის გარემოსდაცვითი მიზნების განსაზღვრა არ მომხდარა. მსგავსი გამონაკლისის დაშვება წარმოადგენს წყლის ჩარჩო დირექტივის მოთხოვნების უხემ დარღვევას¹⁸ და საერთოდ კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს დაგეგმვის პროცესის სანდოობას.

¹⁵ იხ. დანართი 1.

¹⁶ მდ. ჭოროხის თურქულ მონაკვეთზე დაგეგმილია სულ 10 ჰესის მშენებლობა; https://www.unece.org/fileadmin/DAM/env/water/meetings/Assessment/Tbilisi%20workshop/Presentations/Basin%20presentation%20pdfs/presentation_Tbilisi_Dec2009_Sezer_TR_Chorokhi-Coruh.pdf

¹⁷ მდ. ჭოროხი-აჭარისწყლის სააუზო მართვის გეგმა; 5.5 თავი „გამონაკლისები“;

¹⁸

4. ტრანს-სასაზღვრო ზემოქმედება

გეგმაში კიდევ ერთ გამონაკლისად ჩაითვალა მდ. ჭოროხის თურქეთის მონაკვეთზე მიმდინარე და დაგეგმილი 8 ჰიდროელექტროსადგურის პროექტიც, მათი ტრანს-სასაზღვრო ზემოქმედების გამო. შესაბამისად, არც ამ ობიექტებისთვის მოხდა გარემოსდაცვითი მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა, რაც ასევე წარმოადგენს წყლის ჩარჩო დირექტივის მოთხოვნების უხეშ დარღვევას.

დირექტივის მიხედვით, იმ შემთხვევაში თუ სახელმწიფოს შეექმნება გარემოსდაცვითი მიზნის მიღწევის პრობლემა ტრანს-სასაზღვრო ზემოქმედების გამო, დირექტივა ითვალისწინებს დასახული მიზნის მიღწევის გადავადების შესაძლებლობას, თუმცა დირექტივა არ ათავისუფლებს წევრ სახელმწიფოს გარემოსდაცვითი მიზნის განსაზღვრის ვალდებულებისგან ტრანს-სასაზღვრო ზემოქმედების გამო.

უფრო მეტიც, წყლის ჩარჩო დირექტივის მე-3 მუხლის მე-4 და მე-5 პარაგრაფების მიხედვით¹⁹, წევრი სახელმწიფო უნდა შეეცადოს მეზობელ ქვეყანასთან (არანევრ) თანამშრომლობის გზით უზრუნველყოს გარემოსდაცვითი მიზნების მიღწევა წყლის ამა თუ იმ ობიექტისათვის, მათ შორის შესაძლებელია საერთაშორისო კომისიის შექმნაც. თუ წევრმა სახელმწიფომ გამოიყენა ყველა გონივრული შესაძლებლობა არანევრ სახელმწიფოსთან წარმოქმნილი პრობლემის მოსაგვარებლად და მიუხედავად ამისა დაგეგმილი მიზნის მიღწევა მაინც ვერ ხერხდება მეზობელი სახელმწიფოს მიზნით, დირექტივის მე-12 მუხლი ითვალისწინებს, თავად ევროკომისიის ჩართვის შესაძლებლობასაც ევროკავშირის არანევრ სახელმწიფოსთან მოლაპარაკების პროცესში²⁰.

5. საზოგადოების მონაწილეობასთან დაკავშირებული პრობლემა

სააუზო მართვის საპილოტე გეგმის მნიშვნელოვან ნაკლოვანებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ დაგეგმვის პროცესში დაინტერესებული მხარეები არასაკმარისად იყვნენ ჩართულები. საკითხი განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს, ვინაიდან განსახილველად წარმოდგენილი დოკუმენტი წარმოადგენს ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პილოტურ პროექტს, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს სხვა მდინარეთა მართვის გეგმებსაც საქართველოში.

ევროკავშირის წყლის ჩარჩო დირექტივის განმარტებით (მე-14 პარაგრაფი)²¹, „დირექტივის წარმატებით განხორციელება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული პროცესში ადგილობრივი თემების, სახელმწიფოსა თუ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების, წყალმომხმარებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მჭიდრო და სრულფასოვან ჩართულობაზე“. ხოლო დაინტერესებული მხარეების სრულფასოვანი ჩართულობა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ სრულდება შემდეგი სამი პირობა: (1) ინფორმაციის მიწოდება დაინტერესებული მხარეებისთვის; (2) დაინტერესებული მხარეების მონაწილეობა განხილვებში; და (3) დაინტერესებული მხარეების აქტიური ჩართვის უზრუნველყოფა დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში²². სამწუხაროდ, მდ. ჭოროხი-აჭარისწყლის საპილოტე გეგმის შემთხვევაში, გეგმის ავტორებმა არ გასწიეს საკმარისი ძალისხმევა ყველა დაინტერესებული მხარის ჩართვის უზრუნველყოფისათვის. ამის ნათელ მაგალითს სააუზო მართვის გეგმის ძალზე უხარისხო ქართული თარგმანი წარმოადგენს, რის გამოც მნიშვნელოვნად შეიზღუდა ინგლისურის არმცოდნე დაინტერესებული მხარეების, მათ შორის, ადგილობრივი მოსახლეობისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების დიდი ნაწილის სრულფასოვანი ჩართულობა.

ამასთან, დოკუმენტი არ მოიცავს ინფორმაციას, თუ რა ქმედებები განხორციელდა გეგმის ავტორების მიერ, რათა უზრუნველყოფილიყო ადგილობრივი თემების ინფორმირება ადგილობრივ დონეზე დაინტერესებული მხარეების გამოსავლენად; ამასთან, არ არსებობს ინფორმაცია, თუ რამდენი საკონსულტაციო შეხვედრა გაიმართა ან დაიგეგმა ადგილობრივ დონეზე.

გეგმაში ნახსენებია, რომ 2015 წლის 24 მარტს გაიმართა საკონსულტაციო შეხვედრა ქ. ბათუმში, რომლის დროსაც განხილულ იქნა სააუზო მართვის გეგმის ინგლისურ ვერსია. ამასთან, უცნობია, როგორ მოხდა ინფორმაციის მიწოდება/გავრცელება (გარდა ელექტრონული წერილების რამოდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციისთვის გაგზავნისა) აღნიშნული შეხვედრის თაობაზე დაინტერესებულ მხარეებისთვის. არ არის მითითებული თუ რამდენი

¹⁹ <http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CONSLEG:2000L0060:20090625:EN:PDF> „Where a river basin district extends beyond the territory of the Community, the Member State or Member States concerned shall endeavour to establish appropriate coordination with the relevant non Member States, with the aim of achieving the objectives of this Directive throughout the river basin district. Member States shall ensure the application of the rules of this Directive within their territory.“

²⁰ GUIDANCE DOCUMENT ON EXEMPTIONS TO THE ENVIRONMENTAL OBJECTIVES; Paragraph 3.2.7 “transboundary context”; http://ec.europa.eu/environment/water/water-framework/objectives/pdf/Guidance_document_20.pdf

²¹ <http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CONSLEG:2000L0060:20090625:EN:PDF>

²² [https://circabc.europa.eu/sd/a/0fc804ff-5fe6-4874-8e0d-de3e47637a63/Guidance%20No%208%20-%20Public%20participation%20\(WG%202.9\).pdf%20b](https://circabc.europa.eu/sd/a/0fc804ff-5fe6-4874-8e0d-de3e47637a63/Guidance%20No%208%20-%20Public%20participation%20(WG%202.9).pdf%20b)

ადგილობრივი მაცხოვრებელი ან წყალმოსარგებლე დაესწრო შეხვედრას და რა იყო მათი პოზიცია გეგმასთან მიმართებაში.

გეგმის მომზადების პროცესმა ვერ უზრუნველყო ყველა დაინტერესებული მხარის, პირველ რიგში კი ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობა. ასეთი მიდგომა წინააღმდეგობაში მოდის წყლის ჩარჩო დირექტივის ფუძემდებლურ პრინციპთან დაინტერესებული მხარეების სრულფასოვან ჩართულობასთან დაკავშირებით²³, რაც ქმნის წყლის რესურსებთან დაკავშირებული კონფლიქტების გაჩენის შესაძლებლობას მომავალში.

6. არსებული გამოწვევები

ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, ენერგეტიკის სამინისტრომ ინტენსიურად დაიწყო ჰიდროელექტროსადგურების (ჰესი) მშენებლობის მიზნით, მემორანდუმების გაფორმების პროცესი ინვესტორებთან. დღეისთვის, ხელმოწერილია დამატებით 64²⁴ ურთიერთგაგების მემორანდუმი ჰესების მშენებლობის თაობაზე. მიუხედავად ასოცირების ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებებისა, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე შეტანილ არცერთ გზმ ანგარიშში²⁵ ჰიდროელექტროსადგურების ზემოქმედების შეფასება არ არის გაკეთებული მდინარეთა სააუზო მართვის თვალსაზრისით (მდინარეთა ეკოლოგიური სტატუსის დადგენა და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა). ეს გარემოება არ წარმოადგენს დაბრკოლებას გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთვის, რომელიც უპრობლემოდ გასცემს დადებით ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნებს ისეთ ჰესებზეც კი, რომელთა განხორციელება იგეგმება ხელუხლებელ და მაღალი ეკოლოგიური ღირებულების მდინარეებზე²⁶.

მაგ. 2015 წლის სექტემბერში სამინისტრომ დადებითი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა გასცა ნენსკრა ჰესზე. ამავდროულად, სწორედ ამ ჰესის გზმ-ს შეფასებისთვის, სამინისტროს მიერ დაქირავებულმა საერთაშორისო ექსპერტმა, თავის დასკვნაში²⁷, ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ წარმოდგენილ გზმ ანგარიშში პროექტის ზემოქმედების შეფასება არ მომხდარა სააუზო მართვის თვალსაზრისით და სრულად იგნორირებულია ევროკავშირის წყლის ჩარჩო დირექტივის მოთხოვნები. ანალოგიურად დადებითი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა გაიცა ნამახვანი ჰესზეც.

სამინისტროს განმარტებით, ვინაიდან კანონმდებლობით ამ ეტაპზე სააუზო მართვის პრინციპების გათვალისწინება ანგარიშში სავალდებულო არ არის, სამინისტრო მოკლებული იყო შესაძლებლობას ეკოლოგიური ექსპერტიზის პროცესში ემსჯელა აღნიშნულ საკითხზე²⁸.

სამინისტროს მიერ მიღებული მსგავსი სახის გადაწყვეტილებები მნიშვნელოვნად ართულებს მდინარეთა სააუზო მართვის მოდელზე სრულფასოვანი გადასვლის პროცესს, ვინაიდან პარალელურად აქტიურად მიმდინარეობს ჰიდროელექტროსადგურების დაგეგმვა/მშენებლობა, სადაც სრულად არის იგნორირებული სააუზო მართვის პრინციპები. იმის გათვალისწინებით რომ 2024 წლამდე (სააუზო მართვის გეგმებზე გადასვლის ბოლო ვადა) ენერგეტიკის სამინისტროს გაცხადებული გეგმების თანახმად, დამატებით არანაკლებ 50 ახალი ჰიდროელექტროსადგურის ექსპლუატაციაში შესვლა იგეგმება²⁹, ნათელია, რომ ასეთ პირობებში სააუზო მართვის მოდელზე გადასვლას ფიქტიური სახე აქვს და შესაბამისად ასოცირების ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების შესრულება სერიოზული საფრთხის ქვეშ დგას.

²³ <http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CONSLEG:2000L0060:20090625:EN:PDF> Paragraph 14;

²⁴ <http://www.energy.gov.ge/projects/pdf/pages/Ongoing%20Investment%20Projects%201233%20eng.pdf> სულ 114 მემორანდუმი გაფორმებული;

²⁵ კორომხეთი ჰესი, კასლეთი 2 ჰესი, რაჩხა ჰესი, ნენსკრა ჰესი, ნამახვანი ჰესი, საგურამო ჰესი; <http://www.energy.gov.ge/projects/pdf/pages/Ongoing%20Investment%20Projects%201233%20eng.pdf>

²⁶ ნამახვანი ჰესი, ნენსკრა ჰესი, კასლეთი 2 ჰესი, რაჩხა ჰესი;

²⁷ Review of Nenskra HEP ESIA Study; Prof. Dr. Frank Schrader International Consultant on Hydropower ESIA;

²⁸ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს პასუხი #294; 18 იანვარი, 2016;

²⁹ <http://www.energy.gov.ge/projects/pdf/pages/Ongoing%20Investment%20Projects%201233%20eng.pdf>

7. დასკვნა და რეკომენდაციები

წარმოდგენილი სახით მდ. ჭოროხი-აჭარისწყალის სააუზო მართვის საპილოტე გეგმა ვერ პასუხობს ქვეყანაში არსებულ გამოწვევას - ჰიდროპოტენციალის მაქსიმალურ ათვისებას და ვერ გახდება სანიმუშე მოდელი სხვა სააუზო მართვის გეგმებისთვის. გეგმის არსებული სახით მომზადება წარმოადგენს ასოცირების ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების ფიქტიურად შესრულების მცდელობას და საფრთხის ქვეშ აყენებს ქვეყნის სააუზო მართვის პრინციპებზე სრულფასოვნად გადასვლის პროცესს.

მიგვაჩნია, რომ აუცილებელია მდ. ჭოროხი-აჭარისწყალის სააუზო მართვის პილოტური გეგმა:

- შინაარსობრივად სრულად შეესაბამებოდეს წყლის ჩარჩო დირექტივის მოთხოვნებს;
- უზრუნველყოფდეს ყველა დაინტერესებული მხარის, მათ შორის, ადგილობრივი თემების და წყალმოსარგებლების სრულფასოვან ჩართვას გეგმის მომზადების პროცესში, როგორც ეს განსაზღვრულია წყლის ჩარჩო დირექტივით;
- წარმოადგენდეს სანიმუშე მოდელს, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოში სააუზო მართვის გეგმების შემუშავების კარგი პრაქტიკის დანერგვას.

სამწუხაროდ, მდ. ჭოროხი-აჭარისწყალის სააუზო მართვის გეგმა ვერ ჩაითვლება სანიმუშე მოდელად ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებთან მიმართებაში გაკეთებული გამონაკლისების გამო. აღნიშნულიდან გამომდინარე აუცილებელია, რომ:

- თავიდან მომზადდეს აღნიშნული დოკუმენტი ყოველგვარი გამონაკლისების დაშვების გარეშე და ძირითადი ყურადღება გამახვილდეს სწორედ ამ აუზში დაგეგმილ ჰესებზე, მათ ზემოქმედებასა და ამ ზემოქმედების შერბილების/თავიდან აცილების ეფექტური მექანიზმების შემუშავებაზე საპროექტო დიზაინის გადახედვის ჩათვლით;
- დაიწყოს ყველა დაინტერესებული მხარის გამოვლენა, ადგილობრივი თემების ჩათვლით და უზრუნველყოფილ იქნეს მათი აქტიური ჩართულობა დაგეგმვის პროცესში, როგორც ეს განსაზღვრულია წყლის ჩარჩო დირექტივით.

გარდა ამისა იმისთვის, რომ სრულფასოვნად და ეფექტურად მოხდეს ქვეყნის მდინარეთა სააუზო მართვის მოდელზე გადასვლა, აუცილებელია გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ:

- შეწყვიტოს დადებითი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაცემის პროცესი იმ პროექტებზე, სადაც შეფასება არ არის გაკეთებული სააუზო მართვის თვალსაზრისით;
- მოხდეს გადახედვა ყველა იმ პროექტზე გაცემული დადებითი ეკოლოგიურ ექსპერტიზის დასკვნების, რომელიც არ შეესაბამება სრულფასოვანი სააუზო მართვის გეგმების მოთხოვნებს, მდინარეთა მაღალი ეკოლოგიური სტატუსის შენარჩუნების პირობის გათვალისწინებით;

დანართი 1.

მდ. აჭარისწყალზე დაგეგმილი და მიმდინარე ჰესების პროექტები

მდინარე აჭარისწყალზე დაგეგმილია სამსაფეხურიანი აჭარისწყალის კასკადის პროექტის განხორციელება, რომელიც მოიცავს სამ ჰესს: შუახევს (185 მგვტ), კორომხეთსა (165 მგვტ) და ხერთვისს (85 მგვტ). ამჟამად სამშენებლო სამუშაოები მხოლოდ შუახევი ჰესზე მიმდინარეობს, თუმცა პროექტის დასრულების შემდეგ, იგეგმება კორომხეთისა და ხერთვისის ჰესების მშენებლობის დაწყებაც.

შუახევი ჰესის პროექტი ითვალისწინებს მდ. აჭარისწყალზე 22 მეტრის სიმაღლის სხალთის კაშხლის (წყალსაცავი - 19.4 ჰექტარი), 39 მეტრი სიმაღლის დიდაჭარის კაშხლისა (წყალსაცავი - 16.9 ჰექტარი) და თითო დამბის მოწყობას მდ. სხალთაზე, მდ. ჩირუხისწყალსა და მდ. აჭარისწყალზე. ამასთან, დაგეგმილია სამი სადერივაციო გვირაბის მოწყობა (5.8 კმ, 9.1 კმ და 17.8 კმ სიგრძის), ხოლო წყალადების წერტილებიდან ქვედა ბიეფში ეკოლოგიურ ხარჯად განსაზღვრულია მდინარის საშუალო მრავალწლიური ხარჯის მხოლოდ 10%-ის დატოვება, როგორც „საქართველოში მიღებული პრაქტიკა“ ყოველგვარი შესწავლის გარეშე.

მსგავსი სქემებით არის დაგეგმილი კორომხეთი და ხერთვისის ჰესების მშენებლობა მდ. აჭარისწყალის ქვედა ბიეფშიც, რაც საბოლოოდ შექმნის ერთიან კასკადს. აღნიშნული პროექტების დაგეგმილი სახით განხორციელების შემთხვევაში მდ. აჭარისწყალი და მისი მნიშვნელოვანი შენაკადები მოექცევა სადერივაციო გვირაბებში და მკვეთრად გაუარესდება მდინარის როგორც ბიოლოგიური, ისე ფიზიკურ-ქიმიური და მორფოლოგიური მახასიათებლები.

გარდა ამისა აღნიშნული ცვლილებები უარყოფით ზეგავლენას იქონიებს არამართო მდინარეზე დამოკიდებულ წყალმომხმარებლებზე, არამედ შავი ზღვის სანაპირო ზოლის ფორმირების პროცესზეც.

მდ. ჭოროხზე დაგეგმილი ჰესები

მდ. აჭარისწყლის მსგავსად, მიმდინარეობს მდ. ჭოროხის ბოლო 21 კმ-იანი მონაკვეთის ათვისებას კალაპოტური ტიპის ჰესების კასკადის განხორციელებით. კასკადის შემადგენლობაში შედის კირნათი ჰესი, ხელვაჩაური 1 და 2 ჰესები. ამჟამად სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს მხოლოდ კირნათისა და ხელვაჩაური 1 ჰესებზე.

პროექტი ითვალისწინებს ორი კაშხლის (60.30 მ და 42.5 მ) და 1.3 კმ სიგრძის სადერივაციო გვირაბის მშენებლობას, რომლის განხორციელების შემთხვევაში წყლით დაიფარება 200 ჰექტარზე მეტი ფართობის ტერიტორია, მათ შორის, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფლების კირნათის, მარადიდის და ერგეს სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, საკარმიდამო ნაკვეთები, სხვადასხვა შენობა-ნაგებობები და ასევე მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ტერიტორიები.

მდ. აჭარისწყალზე დაგეგმილი პროექტების მსგავსად, გარდაუვალია მდ. ჭოროხის ეკოლოგიური მახასიათებლების მნიშვნელოვანი გაუარესებაც.

მდ. მაჭახელაზე დაგეგმილი ჰესები

მართალია, მდ. მაჭახელაზე ამ ეტაპზე ჰესების მშენებლობა არ მიმდინარეობს, თუმცა არსებული გეგმის მიხედვით, მდინარე მაჭახელაზე იგეგმება სადერივაციო ტიპის 2 ჰესისგან შემდგარი კასკადის მშენებლობა (სულ 42 მგვტ³⁰). იმის გათვალისწინებით რომ დაგეგმილი ჰესების წინასწარი ტექნიკური პარამეტრები გაანგარიშებულია „საქართველოში მიღებული პრაქტიკის“ შესაბამისად, რაც მდინარის ქვედა ბიეფში მხოლოდ მდინარის საშუალო მრავალწლიური ხარჯის 10%-ის დატოვებას ითვალისწინებს, ცხადია, რომ აღნიშნული ჰესების განხორციელების შემთხვევაშიც, გარდაუვალია მდინარის ეკოლოგიური მახასიათებლები მკვეთრად გაუარესება.

³⁰ <http://www.energy.gov.ge/projects/pdf/pages/Machakhela%201%20Hidroelektrosadguri%20875%20geo.pdf>



ეს საჯარო პოლიტიკის ნარკვევი გამოიცა მწვანე ალტერნატივას პროექტის – „ევროინტეგრაციის გამწვანებები უკეთესი გარემოსდაცვითი მმართველობისათვის“ ფარგლებში. პროექტი ხორციელდება ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით.

ამ ნარკვევში გამოთქმული მოსაზრებები გამოხატავს მწვანე ალტერნატივას პოზიციას და არ შეიძლება განხილულ იქნეს ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველოს“ და ევროკავშირის შეხედულებათა ამსახველად.



© მწვანე ალტერნატივა, 2016

თბილისი, 0179,
ფალიაშვილის ქ.#27/29, II სართ.
ტელ: (995 32) 222 38 74; 229 27 73
ფაქსი: (995 32) 222 38 74
GREENALT@GREENALT.ORG
WWW.GREENALT.ORG